ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

24.06.2025 წელი

12:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ლოლიტა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ემზარ თევდორაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, ზაზა წულაძე.
მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილები პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე: 6, წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილები პროექტი სხდომას გააცნო მერიის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 16 აპრილის NGOV 9 25 00009548 წერილის თანახმად, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის, კერძოდ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, შენახვის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის №9 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა და მასთან დაკავშირებით გამოავლინა, მუნიციპალიტეტის მხრიდან გასათვალისწინებელი შენიშვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სასკ-ის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს, შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ და აღნიშნული დაზუსტება აისახოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემულ შესაბამის სამართლებრივ აქტებში, რომლითაც დარეგულირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

დადგენილების პროექტი, კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე: 6, წინააღმდეგი: არცერთი.

2. სხვადასხვა.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უშვილობის საკითხი, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ბევრია უშვილო ოჯახები. ჩვენს ფრაქციას „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ აქვს სურვილი მოხდეს ასეთი ოჯახების აღრიცხვა და რაღაც ფორმით განხორციელდეს ამ მიზნით დახმარების პროგრამა რომელიც ქვეპროგრამის სახით ასახული იქნება სოციალური დახმარების პროგრამაში.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N5

ქ. ლანჩხუთი

24.06.2025 წელი.

2025 წლის 24 ივნისს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: 1. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2025 წელი
12:00 საათზე.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	11 50	
2.	ემზარ თევდორაძე	11 55	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	11-58	
4.	ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრებოდა	
5.	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6.	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
7.	ზაზა წულაძე	11 50	
8.	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	